ხშირად დასმული კითხვები საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ

1. რატომ გაჩნდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის შემუშავება საჭირო და რა მნიშვნელობისაა ცვლილებები, რომელიც ძალაში პირველი მარტიდან შევიდა?

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი მიღება ძალზედ მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლების განმტკიცების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის.

2. რას შეცვლის ახალი კანონი რიგითი მოქალაქეებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით?

გაიზრდება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სტანდარტი, დაიხვეწება კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში და შეიქმნება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეფექტიანი მექანიზმები.

3. რა იცვლება „პირდაპირი მარკეტინგის“ მიმართულებით, მოგვივა თუ არა სარეკლამო შეტყობინებები იმ სიხშირით, როგორც პირველ მარტამდე ვიღებდით?

კანონის მოქმედი რედაქციის ძალაში შესვლის შემდეგ, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის (სატელეფონო ნომრის მფლობელის) თანხმობით. ამასთან, მონაცემთა სუბიექტის სახელის, გვარის, მისამართის, ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გარდა, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით სხვა მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის **წერილობითი თანხმობა.** ამასთან, თანხმობა, აუცილებელია, აკმაყოფილებდეს ნებაყოფლობითობისა და ინფორმირებულობის კრიტერიუმებს, გამოხატული იყოს აქტიური მოქმედებით და მიემართებოდეს მონაცემთა დამუშავების კონკრეტულ მიზანს. აღსანიშნავია ისიც, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა/დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა სუბიექტს ნათლად, მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განუმარტოს მის მიერ თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლება და ამ უფლების განხორციელების მექანიზმი/წესი.

უშუალოდ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით, კანონი მიუთითებს, რომ მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა. ამასთანავე, მონაცემთა სუბიექტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რომლითაც პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება, ან განსაზღვროს სხვა ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის, რისი გამოყენების შესახებ მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეცეს მკაფიო და ადვილად აღსაქმელი მითითება. ამასთან, დაუშვებელია, მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების განსახორციელებლად დაწესდეს საფასური ან სხვა შეზღუდვა.

4. აქვთ თუ არა კომპანიებს უფლება, რომ თანხმობის მოპოვების მიზნით შეტყობინებები გამოგვიგზავნონ პირველი მარტის შემდეგ?

2024 წლის პირველი მარტიდან ფიზიკურ პირთა ტელეფონის ნომრებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მოსაპოვებლად გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება პირდაპირი მარკეტინგის ცნებაში ექცევა, ვინაიდან თავისი შინაარსით სწორედ მარკეტინგული მომსახურების გაწევის მიზანს მიემართება. ალტერნატივად მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს შესაძლებლობა აქვს მკაფიო და აქტიური მოქმედებით გამოხატული თანხმობა მოიპოვოს, მაგალითად, მომხმარებელთან პირისპირ კომუნიკაციის ფარგლებში.

5. თუ თანხმობა არ განმიცხადებია და პირველი მარტის შემდეგ მარკეტინგულ შეტყობინებებს მაინც ვიღებ, როგორ უნდა მოვიქცე ამ შემთხვევაში?

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ აქვს თქვენგან მიღებული თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით თქვენი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ან თანხმობა არ აკმაყოფილებს აღნიშნული კანონით დადგენილ მოთხოვნებს და, შესაბამისად, თვლით რომ თქვენი მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით, შეგიძლიათ სამსახურს მომართოთ განცხადებით და მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავების კანონიერების შესწავლა.

განცხადება უნდა შეიცავდეს თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას. ამასთან, განცხადებას თანდართული დოკუმენტის სახით უნდა ერთვოდეს განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო არსებობის შემთხვევაში შესაბამისი მტკიცებულებებიც (მაგ., ფოტომასალა, რომლითაც დადასტურდება, რომ კონკრეტული კომპანიის სახელით იღებთ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს).

განცხადებით მომართვა შესაძლებელია როგორც წერილობითი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (მის.: თბილისი, ვაჩნაძის ქ. №7; ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა №48)), ასევე ელექტრონული ფორმით (ხელმოწერილი და დასკანერებული ან ფოტოსურათის სახით). განცხადების ელექტრონული ფორმით გამოგზავნის შემთხვევაში განცხადება უნდა გამოგზავნოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმის წარმოების პროგრამის მეშვეობით ან სამსახურის ოფიციალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე - office@pdps.ge.

6. შეიცვალა თუ არა ჯარიმების ოდენობა და რომელი სამართალდარღვევა ექვემდებარება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას?

კანონის მოქმედი რედაქცია ამავე კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების ან წესის დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს როგორც გაფრთხილებას, ასევე ჯარიმას. მაგალითისთვის, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შესაძლოა, პასუხისმგებლობა დაეკისროს მონაცემთა დამუშავების პრინციპების ან საფუძვლების დარღვევისთვის, პირდაპირი მარკეტინგის კანონის მოთხოვნების გვერდის ავლით განხორციელებისთვის, აუდიომონიტორინგის ან ვიდეომონიტორინგის კანონშეუსაბამოდ განხორციელებისთვის, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში მონაცემთა დაცვის ოფიცრის არყოლისათვის და ა.შ.

ხსენებულმა კანონმა ასევე გააფართოვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მასშტაბი და გაზარდა ჯარიმების ოდენობა.

კანონი ფიქსირებული ჯარიმის ოდენობებს განსაზღვრავს, თუმცა, მას უკავშირებს სამართალდამრღვევის ორგანიზაციულ ფორმასა და მის წლიურ ბრუნვას. ასევე, საგრძნობლად გაზრდილია ჯარიმების ოდენობა, მაგ.: მონაცემთა დამუშავების რომელიმე პრინციპის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის, საჯარო დაწესებულების, არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირის, აგრეთვე იურიდიული პირის) უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს არ აღემატება, გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით. ხოლო იგივე ქმედების ჩადენა იურიდიული პირის (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა), უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისა და ინდივიდუალური მეწარმის, რომელთა წლიური ბრუნვა 500 000 ლარს აღემატება, გამოიწვევს მათ გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

სიახლეა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების განსაზღვრაც. ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევა, რისთვისაც გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა გარკვეულ შემთხვევებში შეადგენს 1 000 (ათას), ხოლო გარკვეულ შემთხვევებში 2 000 (ორი ათას) ლარს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებას და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა 3 (სამი) თვიდან 4 (ოთხ) თვემდე გაიზარდა, რაც ასევე მნიშვნელოვან პრევენციულ და სრულყოფილი ზედამხედველობის ხელშემწყობ ზომად შეიძლება მივიჩნიოთ.

7. კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, ინერგება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი, რა დაევალებათ ოფიცრებს და რომელ ორგანიზაციებს ეკისრებათ მათი დანიშვნის ვალდებულება? (აღნიშნული ცვლილება ძალაში პირველი ივნისიდან შედის)

კანონის თანახმად, ოფიცრის დანიშვნის ან განსაზღვრის ვალდებულება ეკისრებათ საჯარო დაწესებულებებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, საკრედიტო ბიუროებს, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებს, ავიაკომპანიებს, აეროპორტებს, სამედიცინო დაწესებულებებს, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ იმ პირებს, რომლებიც ამუშავებენ დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებენ მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს. ამასთან, პირთა წრე, რომლებსაც არ აქვთ ვალდებულება, დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, განისაზღვრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ნორმატიული აქტით.

საყურადღებოა ისიც, რომ, მართალია, კანონი ოფიცრის დანიშვნის ვალდებულებას მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებს აკისრებს, თუმცა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ სხვა პირებს, საკუთარი შეხედულებისამებრ, უფლება აქვთ, დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

რაც შეეხებათ ოფიცრების უფლება მოვალეობებს, ოფიცერი უზრუნველყოფს:

- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების ინფორმირებას, მათთვის კონსულტაციისა და მეთოდური დახმარების გაწევას;

- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაციებისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას, აგრეთვე დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგს;

- მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას სამსახურთან ურთიერთობაში;

- მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

- ასევე, პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა მონაცემთა დაცვის სფეროში. ამასთან, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს მოეთხოვებათ, უზრუნველყონ ოფიცერი შესაბამისი რესურსებითა და დამოუკიდებლობით საქმიანობის განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, მათ ეკისრებათ ვალდებულება, ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოაქვეყნონ ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით.

მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართულ კანონმდებლობას აახლოებს ევროპულ სტანდარტებთან და მნიშვნელოვნად აძლიერებს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის გარანტიებს. მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის რეალური იმპლემენტაცია მნიშვნელოვან პრევენციულ ეფექტს გამოიწვევს და ხელს შეუწყობს მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების განმტკიცებას.

8. შეუძლია თუ არა დაწესებულებამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია/მოვალეობები შეუთავსოს რომელიმე თანამშრომელს?

კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ორგანიზაციის არსებულმა თანამშრომელმა თუ ეს არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს.

ინტერესთა კონფლიქტს აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, თუკი მონაცემთა დაცვის ოფიცერი უწყებაში ან ორგანიზაციაში იკავებს იმგვარ პოზიციას ან თანამდებობას, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, განსაზღვროს მონაცემთა დამუშავების მიზანი და საშუალება. შესაბამისად, იგი არ უნდა იყოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესებში უშუალოდ ჩართული პირი. ასევე, ოფიცერი პარალელურად არ უნდა ასრულებდეს იმგვარ ფუნქციას, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის უწყების ან ორგანიზაციის მიერ დამუშავების პროცესების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ინტერესთან.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუკი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შეთავსება ხდება მოქმედი თანამშრომლისთვის, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ოფიცერს ჰქონდეს დროის სათანადო რესურსი სხვადასხვა პარალელური ამოცანების შესასრულებლად.

9. აუცილებელია თუ არა ოფიცრებმა გაიარონ სერტიფიცირება? და ატარებს თუ არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შესაბამის გადამზადების კურსებს , სადაც სერტიფიკატები ან ლიცენზიები გაიცემა?

კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა მონაცემთა დაცვის სფეროში. ამდენად, კანონმა გარკვეული თავისუფლება მიანიჭა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ/დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს, თავად განსაზღვრონ, რა კრიტერიუმით შეაფასებენ ოფიცრის ცოდნას. კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის კვალიფიკაციის დასადასტურებლად მათი სერტიფიცირების სავალდებულოობას არ ითვალისწინებს.

აღნიშნულის მიუხედავად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური უცხოელ ექსპერტთან ერთად მუშაობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის გადასამზადებელ ტრენინგ-კურსზე, რომელსაც უახლოეს მომავალში შესთავაზებს დაინტერესებულ უწყებებსა და პირებს.

10. უწევს თუ არა სამსახური რეკომენდაციას ოფიცერთა გადამზადების რომელიმე კურსს, რომელსაც სხვადასხვა კომპანიები გვთავაზობენ?

კანონით არ მოითხოვება რაიმე სახის სერტიფიკატის ან/და ლიცენზიის ქონის ვალდებულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაფასებლად და აღნიშნული სრულად დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი იმ პირის პრეროგატივაა, რომელიც განსაზღვრავს/ნიშნავს ოფიცერს.

ამდენად, სერტიფიცირების ვალდებულების არ არსებობის პირობებში სამსახური არ არის ჩართული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრების სერტიფიცირებისა თუ გადამზადების პროცესში. შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, რეკომენდაცია გაუწიოს რომელიმე კონკრეტულ კურსსა თუ სემინარს.

11.რას ნიშნავს პროფაილინგი ?

კანონმა განმარტა ისეთ მნიშვნელოვანი ახალი ტერმინი, როგორიცაა - პროფაილინგი. კერძოდ, პროფაილინგი არის მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული

პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას.

12. კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასების ვალდებულება გაჩნდა. რას გულისხმობს აღნიშნული სიახლე?

კანონის მიხედვით, თუ მონაცემთა დამუშავებისას ახალი ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება.

ისეთ შემთხვევებში, როცა ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოვლინდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი საფრთხე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საფრთხეების არსებითად შესამცირებლად. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია კონსულტაციის მიზნით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. აღსანიშნავია, რომ თუ დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომებით შეუძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხის არსებითად შემცირება, მონაცემთა დამუშავება არ უნდა განხორციელდეს.

გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს ზეგავლენის შეფასების სავალდებულო განხორციელების კონკრეტულ შემთხვევებს. კერძოდ, ამგვარი ვალდებულება არსებობს, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი:

- მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილებას იღებს სრულად ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე;
- ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს (მონაცემთა სუბიექტების დიდ რაოდენობად მიიჩნევა საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 3 (სამი) პროცენტისა);
- ახორციელებს მონაცემთა სუბიექტების ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

13. სიახლეა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ინციდენტის შეტყობინების ვალდებულების შემოღებაც - რატომ გაჩნდა ამ ცვლილების განხორციელების აუცილებლობა და კონკრეტულად რას ითვალისწინებს ის?

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, როგორც მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო მნიშვნელოვანია, ფლობდეს ინფორმაციას იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემები საფრთხის ქვეშ იმყოფება. კანონი საზედამხედველო ორგანოსთვის ინციდენტის შეტყობინების ვალდებულებას ითვალისწინებს, როდესაც ინციდენტი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

14. განგვიმარტეთ მონაცემთა გატანის ე.წ „პორტირების“ უფლება

კანონი ასევე აფართოებს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს და ამყარებს ამ უფლებათა დაცვის გარანტიებს. ერთ-ერთი ახალი უფლება, რაც ახალმა კანონმა მონაცემთა სუბიექტებს მიანიჭა, მონაცემთა გადატანის, ე.წ. „პორტირების“ უფლებაა. მონაცემთა გადატანის უფლება მონაცემთა სუბიექტებს გაუმარტივებს გარკვეული სერვისებით სარგებლობას. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, კომპანიებმა უზრუნველყონ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების დანერგვა, რათა შესაძლებელი გახადონ პერსონალურ მონაცემთა გადატანა ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთი გარემოდან მეორეში და რაც ყველაზე მთავარია, აღნიშნულის განხორციელებისას გაატარონ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები.

15. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, როგორ უნდა მოვმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს განცხადებით?

თუ თვლით, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით, შეგიძლიათ სამსახურს მომართოთ განცხადებით და მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა.

გაითვალისწინეთ, რომ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- განმცხადებლისა და მისი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, ფაქტობრივი მისამართი (სადაც შესაძლებელი იქნება კორესპონდენციის ჩაბარება) ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი, თუ განმცხადებელს სურს კორესპონდენციის გაგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ტელეფონის ნომერი ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.

- წარმომადგენლის მეშვეობით მომართვის შემთხვევაში, საკმარისია ერთ-ერთის (განმცხადებლის ან წარმომადგენლის) საკონტაქტო ინფორმაციის წარმოდგენა;

- მაიდენტიფიცირებელი მონაცემები განმცხადებლის უფლებების სავარაუდო დამრღვევი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ. წარმოდგენილმა მონაცემებმა განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე უნდა გახადოს შესაძლებელი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის იდენტიფიცირება.

- შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის სავარაუდო თარიღი (რიცხვი/თვე/წელი);

- შესაძლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული გარემოებების აღწერა და მისი არსი;

- განმცხადებლის მოთხოვნა;

- განცხადების წარდგენის თარიღი;

- განმცხადებლის ან მისი წარმომადგენელის ხელმოწერა.

დამატებით, თანდართული დოკუმენტის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ განცხადება ელექტრონულად ხელმოწერილია ან/და შტამპდასმულია „ელექტრონული დოკუმენტისა

და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად), ხოლო არსებობის შემთხვევაში შესაბამისი მტკიცებულებებიც (მაგ. ფოტომასალა).

განცხადების წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენის შემთხვევაში განცხადებას ასევე უნდა ერთვოდეს – უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, განმცხადებლისა და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ხოლო თუ განცხადება ელექტრონულად ხელმოწერილია ან/და შტამპდასმულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხელმომწერი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო.

განცხადებით მომართვა შესაძლებელია როგორც წერილობითი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (მის.: თბილისი, ვაჩნაძის ქ. №7; ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა №48)), ასევე ელექტრონული ფორმით (ხელმოწერილი და დასკანერებული ან ფოტოსურათის სახით). ელექტრონული ფორმით გამოგზავნის შემთხვევაში განცხადება უნდა გამოაგზავნოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საქმის წარმოების პროგრამის მეშვეობით ან სამსახურის ოფიციალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე - **office@pdps.ge**

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ შემუშავებული განცხადების სტანდარტული ფორმის შევსება სავალდებულო არ არის, მთავარია სამსახურში წარმოდგენილი განცხადება სრულად შეიცავდეს ზემოჩამოთვლილ ინფორმაციას.

იხილეთ განცხადების ფორმა: **https://pdps.ge/ka/content/994/gancxadebis-gamogzavna**